

სს „ვანრიკ აგრო“-ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2018 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობა	7
სს ვანრიკ აგროს 2018 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:.....	10
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	15
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	17
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	18
ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	18

(თანხა მოცემულია ქართულ ლარში) სს"ვანრიკ აგრო"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	12/31/2018	12/31/2017
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5 473 104	11,182,448
საინვესტიციო ქონება	0	0
ბიოლოგიური აქტივი	5 219 699	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	0	0
	10,692,803	11,182,448
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2,216	12,508
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	111,370	71,168
მარაგები	627,698	789,090
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	0	0
	741,283	872,766
მთლიანი აქტივები	11,434,086	12,055,214
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	11,773,868	11,773,868
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-4,726,921	-3,822,937
გადაფასების რეზერვი	0	0
	7,046,947	7,950,931
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	2,271,615	2,271,615
ანარიცხები	0	0
	2,271,615	2,271,615
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	934,174	862,560
გადავადებული შემოსავალი	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	733,543	563,428
საგადასახადო ვალდებულებები	338,720	297,592

გადასახდელი პროცენტი	109,088	109,088
გადასახდელი დივიდენდი	0	0
	2,115,524	1,832,668
მთლიანი ვალდებულებები	4,387,139	4,104,283
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	11,434,086	12,055,214

გაკოტრების მმართველი:



სს"ვანრიკ აგრო"

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით

	12/31/2018
ამონაგები	602,956
თვითღირებულება	(203,033)
საერთო მოგება	399,923
სხვა შემოსავლები	51
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(1,263,325)
მიწოდების დანახარჯები	(836)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	-
სხვა ხარჯები	(43,186)
საოპერაციო მოგება	(907,374)
ფინანსური შემოსავალი	-
ფინანსური ხარჯი	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა	-
მოგება დაბეგვრამდე	(907,374)
მოგების გადასახადი	-
პერიოდის მოგება	(907,374)
სხვა სრული შემოსავალი:	
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	(907,374)

გაკოტრების მმართველი:



სს"ვანრიკ აგრო"

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)	საწესდებოკაპიტა ლი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანიკაპიტა ლი
2017 წლის 31 დეკემბერი	11 773 868	(3 819 547)	7 954 320
წმინდამოგება	-	(903984)	(903984)
სხვასრულიშემოსავალი	-	-	-
პერიოდისსრულიშემოსავალი	-	(903984)	(903984)
გაცემულიდივიდენდი	-	-	-
საწესდებოკაპიტალისზრდა	-	(3390)	(3390)
2018 წლის 31 დეკემბერი	7 950 931	(903 984)	7 046 947

გაკოტრების მმართველი:



ფულადი სახსრების მოძრაობა

(თანხა მოცემულია ქართულ ლარში)

2018

2017

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

948618

4747139

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან

(958910)

(4734637)

წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში

-10292

12502

სავალუტო კურსის ეფექტი

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში

12508

5.71

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს

2216

12508

გაკოტრების მმართველი:



სს ვანრიკ აგროს 2018 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ვანრიკ აგრო“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 11 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დამფუძნებლები არიან სს „საპარტიონიო ფონდი“ და ფიზიკური პირები, ირაკლი ფარცვანია და ვიქტორია ფარცვანია.

კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წლის 11 თებერვალს, რეგისტრაციის NB15028652, საიდენტიფიკაციო ნომრით 445457540. კომპანიის იურიდიული მისართია: ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ./ჭავჭავაძის ქ., N49/4, ბ. 23 და ფაქტობრივი მისამართი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი დაბა ლაითური. კომპანია დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2015 წლის 13 თებერვალს, რეგისტრაციის N30815756.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს

- სხვა ხილის, კენკროვანების და კაკლისებრის მოყვანა და რეალიზაცია
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული

მმართველი ორგანო:

1) სამეთვალყურეო საბჭო:

წევრი: 42001009606, ირაკლი ნაჭყებია;

წევრი: 01008024410, ნინო ჩოლოყაშვილი;

წევრი: 01006008606, ვახტანგი ჯორბენაძე.

დამფუძნებლები/პარტნიორები:

- 1) სს „საპარტიონიო ფონდი“ (ს/ნ 404404550), წილი - 40.48%;
- 2) ირაკლი ფარცვანია (პ/ნ 61001033075), წილი - 29,60%;
- 3) ვიქტორია ფარცვანია (პ/ნ 61001033922), წილი - 29,92%.

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

გაკოტრების მმართველი: ალექსანდრე საკანდელიძე

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

კომპანიან გამოიყენა მსს ფასს სტანდარტებში პირველადი გადასვლის 35-ე განყოფილების მე-10 მუხლის შეღავათი, კერძოდ, ძირითადი საშუალებების სატრანსპორტო ჯგუფი ტრანსფორმაციის მომენტისათვის შეაფასდა რეალური ღირებულებით და აღნიშნული ღირებულება მიჩნეულ იქნა მის საწყის ღირებულებად;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი				დოლარი	ევრო
კურსი	2018	წლის	31	2,6766	3,0701
დეკემბრისთვის					
კურსი	2017	წლის	31	2,5922	3,1044
დეკემბრისთვის					

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსურია ქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთისახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;
და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსურია ქტივები ფასდება თავითღირებულებით.

ფინანსურია ქტივების თვითრიღებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯები ისჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმეობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არა ფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა; ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არაა რის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

- მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში შედის ბიოლოგიური აქტივები.

ბასს 16 მოთხოვნების შესაბამისად მოცვის გაშენება წარმოადგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ნერგების ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მოსავლის მოწევამდე. მას შემდეგ, რაც მოცვის ნერგი მოსავალს იძლევა, დაგროვილი დანახარჯები მიეკუთვნება მწიფე მოსავლიან პლანტაციას და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას ერიცხება ცვეთა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

წარმოების პროცესში უშუალოდ მონაწილე ძირითად საშუალებებზე ცვეთის დანარიცხი წარმოადგენს საწარმოო ზედნადებ ხარჯს და აღირიცხება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება (თუ წარმოებული სასაქონლომატერიალური მარაგები გაიყიდა) ან, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები (თუ წარმოებული სასაქონლომატერიალური მარაგები არ გაიყიდა).

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ტექნიკა-მოწყობილობები	7-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	4-8 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6-10 წელი

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი და უყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ

მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

კომპანიას გააჩნია გრძელვადიანი საბანკო საკრედიტო დავალიანება სს „ხალიკ ბანკის“ მიმართ.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება №201.2786

დაწყების თარიღი: 30.03.15

დასრულების თარიღი: 20.03.25

კრედიტის თანხა: 910 783.00 USD

წლიური საპროცენტო განაკვეთი: 12%

ზემოხსენებული საბანკო სესხის უზრუნველყოფაში მიმართულია კომპანიის ბალანსზე რიცხული უძრავი და მოძრავი ქონება;

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ლურჯი მოცვის მოყვანა, დაფასოება და მზა პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად საზღვარგარეთ ექსპორტის გზით. 2015 წლის თებერვლიდან სს „საპარტნიორო ფონდის“ ინვესტიციით (2,2 მლნ აშშ დოლარი) კომპანიის კუთვნილ მიწის ფართობზე გაშენდა ლურჯი მოცვის პლანტაცია.

კომპანიის წინა მენეჯმენტის (ი. ფარცვანია) არაეფექტური მართვისა და ხელმძღვანელობის პროცესში დაშვებული არაერთი შეცდომის გამო ორგანიზაციას შეექმნა ფინანსური პრობლემები. კერძოდ 2015-2017 წლებში პრობლემები შექმნა, როგორც მოსავლის მოყვანის, ასევე რეალიზაციის კუთხითაც, რომლის ძირითადი მიზეზი გახლდათ პლანტაციის არასათანადო მოვლა-პატრონობა, მოცვის კრეფისა და მისი შენახვის პირობების დარღვევა.

ასევე, 2017 წლის მანძილზე პარტნიორის - ი. ფარცვანიას (ამავე დროს დირექტორის) ინიციატივით სს „ვანრიკ აგროში“ მიმდინარეობდა ხშირი საკადრო ცვლილებები (მათ შორის საფინანსო მიმართულებითაც), რის შედეგადაც კომპანიაში წარმოიშვა მნიშვნელოვანი შეფერხებები ბუღალტრული აღრიცხვისა და სს „საპარტნიორო ფონდისათვის“ ანგარიშების წარდგენის მხრივ.

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ სარჩელის წარმოება 2019 წლიდან

კრედიტორები:

- სს „საპარტნიორო ფონდი“;

- სს „ხალიკ ბანკი“;
- შემოსავლების სამსახური
- სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი ჰქონდა სასამართლო პროცესს, კერძოდ: სს „საპარტნიორო ფონდის“ ყოფილი კერძო პარტნიორების ირაკლი ფარცვანიას და ვიქტორია ფარცვანიას მიერ ნაკისრი შეუსრულებელი ვალდებულებების შედეგად, დიდი ოდენობით ვადამოსული დავალიანებების, როგორც ბიუჯეტის, ის კომპანიის თანამშრომლების, კომერციული ბანკისა და სხვა კრედიტორების მიმართ, მიმდინარე წლის 27 მარტიდან კომპანია გადავიდა გაკოტრების რეჟიმში და მეურვეობა ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით დაევალა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ხოლო ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმდინარე წლის 12 სექტემბრის დადგენილებით გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა ალექსანდრე საკანდელიძე.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბრით;

გაკოტრების მმართველი:

